

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სი
მოსწავლის შეფასების სისტემა
2018-2019 სასწავლო წელი

დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე
ოქმი N1, 30 აგვისტო 2010 წელი
ბოლო შესწორება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე
ოქმი N1, 07 სექტემბერი 2018 წელი

დირექტორი: მ. დეკანოიძე

მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები

1. მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს.
2. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.
3. მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:
 - ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;
 - ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;
 - გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;
 - დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;
 - ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.
4. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.
5. მოსწავლე წინასწარ არის ინფორმირებული თუ რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა.

სასკოლო რეიტინგი

მოსწავლეთა შეფასების სტანდარტულ და საყოველთაო სისტემასთან ერთად მოსწავლეთა შორის სწავლის მოტივაციის გაზრდის მიზნით V-XII კლასებში წარმოებს ყოველთვიური რეიტინგული შეფასებები 10-ბალიანი სისტემით. რეიტინგში საგნების ყოველთვიურ შეფასებასთან ერთად ფიქსირდება ყოფაქცევისა და არასაპატიო გაცდენების შესაბამისი ქულები.

თვისა და სემესტრების ბოლოს საჯაროდ გამოცხადდება და დაიდება სკოლის ვებ-გვერდზე თითოეული კლასის მოსწავლეთა პირველი სამეულის შედეგები. მათ მიენიჭებათ თვისა და სემესტრის „ოქროს სამეულის“ სტატუსი.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

1. შეფასება შეიძლება იყოს: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.
2. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა.
3. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.
4. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების აღწერილობა:

	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
მიზნები	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება: წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა: მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება: მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშეწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება: ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება: ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება:	ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება: ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება: ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება:

წარმართების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან / წინარე დონესთან შედარებით.	მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით
შემფასებელი და შეფასების ფორმები	მასწავლებელი: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ... მოსწავლეები: თვითშეფასებით: ურთიერთშეფასებით.	მასწავლებელი: ქულა (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით).

აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	
6	საშუალო
5	
4	საშუალოზე დაბალი
3	
2	დაბალი
1	

1. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებენ მოსწავლეს, აღნიშნავენ მის წარმატებებს და მიუთითებენ, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. ყოველი წლის ბოლოს კლასის დამრიგებელმა უნდა დაწეროს მოკლე წერილობითი შეფასება, ხოლო IV კლასის ბოლოს კი შემაჯამებელი წერილობითი შეფასება. სწორედ აღნიშნული ედება საფუძვლად შემდგომი პერიოდის თემატურ-კალენდარული, სადამრიგებლო და სხვა სახის სამუშაო გეგმების შედგენას. შემაჯამებელი დავალებების მაღალი კლასის სტანდარტით შესრულების უნარ-ჩვევების ფორმირების მიზნით III-IV კლასებში ყოველ მეოთხე შაბათს ტარდება ტესტირება შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა. V კლასის პირველ სემესტრში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ჩვენი საქართველო, ბუნებისმეტყველება.
2. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10.
3. V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩათვალა/არ ჩათვალა.
4. VII – IX კლასებში რუსული ენა საათობრივ ბადეში ჩასმულია დამატებითი სავალდებულო საგნის სტატუსით, შეფასება ხდება 10 ქულიანი სისტემით და გაითვალისწინება მოსწავლის აკადემიური შედეგის გამოყვანისას ამ კლასებში. შეფასება ამ საგანში არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.
5. მოსწავლე „აბიტურის საათის“ ფარგლებში შესაძლებელია შეფასდეს განმავითარებელი შეფასებით.

შეფასების კრიტერიუმები გერმანულ ენაში იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც ენის სადიპლომო -DSD პროგრამაში არიან ჩართული

- შეფასებას საფუძვლად უდევს ათბალიან ნიშანთა სისტემა, ამასთან ნიშანი 1 და 2 არ არის გამოყენებული, რადგანაც ამის საფუძველი არ შეიძლება იყოს;
- გამოცდილებამ აჩვენა, რომ არა DSD ჯგუფის მოსწავლეები იდენტური და/ან ნაკლები ცოდნის შემთხვევაში გაცილებით მაღალი ქულებით ფასდებიან, ვიდრე DSD ჯგუფის მოსწავლეები. ამიტომ, IX კლასიდან DSD ჯგუფის მოსწავლეებს სემესტრულ ქულაზე დაემატებათ 2 ქულა,

რათა შემდგომ რომელიმე სასწავლებელში ან უნივერსიტეტში არ შეექმნათ პრობლემები;

- იმ მოსწავლეებს, რომლებიც XII კლასში DSD გამოცდაში მიიღებენ მონაწილეობას, XII კლასის ბოლოს დაეწერებათ 10 ქულა, გამოცდის შედეგის მიუხედავად.

მოსწავლის შეფასების კომპონენტები

1. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) მიმდინარე საშინაო დავალება;

ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;

გ) შემაჯამებელი დავალება.

2. მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.

3. სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები),

ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები),

გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).

4. შეფასების სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

5. I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

6. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

7. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

	I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი	V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი	საბაზო-საშუალო საფეხურები
მიმდინარე საშინაო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
მიმდინარე საკლასო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
შემაჯამებელი დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება

5. სასკოლო სასწავლო გეგმა, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, V კლასის მეორე სემესტრისა და VI-XII კლასების თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს წლის განმავლობაში, სემესტრების მიხედვით ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას და ის ჩაწერილია თითოეული კლასის საათობრივ ბადეში. დანართი 2, დანართი 3. შემაჯამებელი დავალებების ჩატარების განრიგი სემესტრების მიხედვით.

შემაჯამებელ დავალებებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია:

ა) სტანდარტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, შემაჯამებელი დავალებების კომპონენტში გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები (მაგ. ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვა).

ბ) შემაჯამებელი დავალებების ძირითადი ნაწილი გამოდის კვირის საათობრივი ბადიდან და ტარდება შაბათობით, სემესტრების დასაწყისში დამტკიცებული განრიგის მიხედვით. საგნობრივი კათედრები, სწავლების ხარისხის სამსახურთან ერთად, მოდულებად დაყოფილი მასალის შესაბამისად, ახორციელებენ მონიტორინგს შემაჯამებელი დავალებების ჩატარებაზე დამოუკიდებელი ზედამხედველების მიმაგრებით.

გ) შემაჯამებელი დავალებების ნაწილი ჯდება საგაკვეთილო ფორმატში დამტკიცებული განრიგის შესაბამისად. მონიტორინგს ახორციელებს საგნობრივი კათედრები და სწავლების ხარისხის სამსახური.

დ) მომზადებული შემაჯამებელი დავალებების კონფიდენციალურობა სრულად არის გარანტირებული სკოლაში შექმნილი მაღალი პასუხისმგებლობის ატმოსფეროს პირობებში, რასაც უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის პირადი ზედამხედველობა დავალებების მომზადებასა და მოსწავლეებამდე მიტანის მთელ პროცესზე.

ე) მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება;

ვ) თუ მოსწავლე ვერ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს საპატიო მიზეზით გაცდენის გამო, სკოლა აძლევს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის საშუალებას.

შემაჯამებელი დავალებების აღდგენა ხდება საგნობრივი კათედრების დღეებში (ოთხშაბათსა და ხუთშაბათს).

შემაჯამებელი დავალებების აღდგენას ახორციელებს სწავლების ხარისხის მენეჯერი საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებთან და საგნის მასწავლებლებთან ერთად.

ზ) თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა. თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული შედეგი, ანალიზი და პერსპექტივა.

განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები

სკოლაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

ა) საგნის მიმდინარე საკლასო, მიმდინარე საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;

ბ) საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში (სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გამოითვლება მისი გათვალისწინებით);

გ) საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. გამონაკლისს წარმოადგენს მეხუთე კლასის წლიური ქულა, რომელიც მეორე

სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია. წლიურ ქულაში VII-X კლასის იმ საგნებში, სადაც გამოცდებია, წლიური გამოცდის ქულაც აისახება.

დ) საფეხურის ქულა – ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.

ქულების გამოანგარიშების წესი

1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში (მიმდინარე საშინაო დავალება, მიმდინარე საკლასო დავალება და შემაჯამებელი დავალება) მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;

ბ) მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);

გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობისა და შესრულებული შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

დ) თუ სემესტრის განმავლობაში სკოლიდან სკოლაში გადასვლისას აღმოჩნდება, რომ მიმღებ სკოლაში რომელიმე საგანში/საგნებში ჩატარებულია შემაჯამებელი დავალების/დავალებების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე გამშვებ სკოლაში, მიმღები სკოლა მოსწავლის შემაჯამებელი დავალების რაოდენობას დაითვლის გამშვებ სკოლაში დადგენილი და მოსწავლის მიერ შესრულებული, ასევე მიმღებ სკოლაში მოსწავლის გადმოსვლის მომენტიდან ჩატარებული და მის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების მიხედვით.

ე) სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, სემესტრული ქულა გამოითვლება მისი გათვალისწინებით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და გამი იყოფა ორზე.

2. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი უნდა გაიყოს ორზე;

VII-X კლასებისათვის იმ საგნებში, რომლებშიც სკოლის მიერ დანიშნულია წლიური გამოცდა საგნის წლიური ქულა სამი (ორი – საგნის სემესტრული და ერთი – გამოცდის) საშუალო არითმეტიკულია.

ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ. 7.25 მრგვალდება 7-მდე, 4.49 მრგვალდება 4-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე);

გ) სასკოლო სასწავლო გეგმა 2018-2019 სასწავლო წელს ითვალისწინებს წლიური გამოცდის ჩატარებას შემდეგ საგნებში:

- VII კლასში: ქართული ენა და ლიტერატურა, საბუნებისმეტყველო მეც. საფ.;
 - VIII კლასში: მათემატიკა, ისტორია;
 - IX კლასში: გეოგრაფია, ქიმია;
 - X კლასში: ბიოლოგია, ფიზიკა.
- VII-X კლასებში გამოცდის ქულა გავლენას ახდენს წლიურ ქულაზე. საგნის წლიური ქულა სამი (ორი - საგნის სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკულია (დამრგვალებული მთელის სიზუსტით);
- XI და XII კლასებში: სკოლის გამოსაშვები გამოცდები (წლიურ ნიშანზე შედეგი გავლენას არ ახდენს)

დ) თუ მოსწავლეს, სემესტრის მიმდინარეობისას სკოლაში გადმოსვლის გამო, მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული აქვს შეფასება, რომლის საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის წლიურ ქულად. ამასთან, სკოლა ვალდებულია შეაფასოს მოსწავლე ახალ განსხვავებულ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე;

ე) მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლაში გადმოსვლისას განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა. (მაგ. თუ მოსწავლე პირველ სემესტრში უცხოურ ენად სწავლობდა ფრანგულს, მეორე სემესტრში კი ფრანგულის ნაცვლად - გერმანულს, მაშინ ფრანგული ენის სემესტრული ქულა გადადის ფრანგული ენის წლიურ ქულად, ხოლო გერმანული ენის სემესტრული ქულა - გერმანული ენის წლიურ ქულად).

3. საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა წლიური ქულების საერთო რაოდენობაზე;

ბ) საფეხურის ქულა მრგვალდება მათედიის სიზუსტით (მაგ. 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე, 9.75 მრგვალდება 9,8-მდე).

კლასისა და საფეხურის დაძლევა

1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის მიერ კონკრეტული კლასის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას. დაძლეული კლასის განმეორებით გავლა დაუშვებელია.

2. დაწყებითი საფეხური დამდლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5,0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დამდლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

3. საბაზო საფეხური დამდლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დამდლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

4. საშუალო საფეხური დამდლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დამდლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.

გაცდენები

1. მოსწავლის გაცდენები აღირიცხება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალში.

2. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხოს მოსწავლეთა დასწრება.

3. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე (30% იანგარიშება საგნისთვის სკოლის სასწავლო გეგმით დათმობილი საათებისა და ამ საგნის შაბათის შემაჯამებელი დავალებების საერთო რაოდენობიდან). ეს მოთხოვნა არ ვრცელდება აბიტურის საათის გაცდენის შემთხვევაში; ასევე კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ში არ იანგარიშება ის გაცდენილი დღე/დღეები, როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება, თუკი ის მოგვიანებით მოსწავლემ აღადგინა.

4. სკოლას შინ სწავლების რეჟიმზე გადაყავს ის მოსწავლეები, რომლებსაც სჭირდებათ მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ ვრცელდება ესგ-ის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.

5. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე საერთაშორისო და ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლის დირექტორი

იღებს გადაწყვეტილებას ესგ-ის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე.

შინ სწავლება

სკოლას შინ სწავლების რეჟიმზე გადაყავს ის მოსწავლეები, რომლებსაც სჭირდებათ მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ ვრცელდება ესგ-ის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.

სკოლა ადგენს განრიგს, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზღვრული მასწავლებელი/მასწავლებლები განახორციელებენ მოსწავლესთან ვიზიტს.

შინ სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ დისტანციური სწავლების (ინტერნეტისა და ვიდეოკონფერენციების) ფორმებს.

მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის(გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა) კვირაში მინიმუმ 1 გაკვეთილის ჩატარებას.

მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შემაჯამებელი დავალებების ჩატარებაზე/აღდგენაზე მოსწავლისთვის ხელშეწყობას.

მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების შეფასებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფიზიკური მდგომარეობა.

გამოცდის ტიპები

სკოლაში ტარდება შემდეგი გამოცდები:

1. წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა

სასკოლო სასწავლო გეგმა 2018-2019 სასწავლო წელს ითვალისწინებს წლიური გამოცდის ჩატარებას შემდეგ საგნებში:

- VII კლასში: ქართული ენა და ლიტერატურა, საბუნებისმეტყველო მეც. საფ.;
- VIII კლასში: მათემატიკა, ისტორია;
- IX კლასში: გეოგრაფია, ქიმია;
- X კლასში: ბიოლოგია, ფიზიკა.

VII-X კლასებში გამოცდის ქულა გავლენას ახდენს წლიურ ქულაზე. საგნის წლიური ქულა სამი (ორი - სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკულია (დამრგვალებული მთელის სიზუსტით);

2. საშემოდგომო გამოცდა

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა არის 5-ზე, ნაკლები, სკოლა მოსწავლეს უნიშნავს საშემოდგომო გამოცდას ამ საგანში;

საშემოდგომო გამოცდის ჩატარების პროცედურა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით. საშემოდგომო გამოცდა უნდა ჩატარდეს სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა და მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.

საშემოდგომო გამოცდამდე მოსწავლეს უნდა მიეცეს არანაკლებ 2 კვირის ვადა მომზადებისათვის. სკოლა მოსწავლეებს უნიშნავს კონსულტაციებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ დაენიშნათ აღნიშნული ტიპის გამოცდა;

მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე. საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა.

მოსწავლე საშემოდგომო გამოცდას აბარებს საგამოცდო კომისიას, რომლის შემადგენლობაში საგნის მასწავლებელთან ერთად არიან საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელი და დირექციის წარმომადგენელი.

საშემოდგომო გამოცდისათვის საკითხებს ამზადებს საგნის მასწავლებელი საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელთან ერთად.

3. ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდა

ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით. ექსტერნატის გამოცდას, გარდა იმ პირობისა, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს, აბარებენ აგრეთვე ის მოსწავლეები, რომელთაც საბაზო/საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.

4. სკოლის გამოსაშვები გამოცდა;

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის მისაღებად მოსწავლეს დამღეული უნდა ჰქონდეს საშუალო საფეხური და სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე მიღებული უნდა ჰქონდეს დადებითი შეფასება.

სკოლის გამოსაშვები გამოცდის ჩატარების ვადები, წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;

5. სემესტრული გამოცდა

ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.

მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

სემესტრული გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით იქმნება საგამოცდო კომისია საგნის მასწავლებლის, შესაბამისი საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელისა და დირექციის წარმომადგენლის შემადგენლობით.

სემესტრულ გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე;

სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.

6. გერმანული ენის სადიპლომო ჯგუფებისათვის:

ა) IX, X, XI კლასის მოსწავლეებისათვის გამოცდა B-1 საფეხურის დამადასტურებელი დიპლომისათვის. (ატარებს და ასწორებს გერმანიის მხარე, გამოცდისქულას გავლენა არ აქვს საგნის წლიურ ქულაზე)

ბ) VIII კლასის მოსწავლეთათვის ტესტირება საგამოცდო სიის დასადგენად. (ატარებს გერმანიის მხარე);

საგამოცდო ტესტები გერმანულ ენაში სწორდება შემდეგი კრიტერიუმებით:

საფეხურის დიპლომი	შესამოწმებელი უნარები	სწორი პასუხების რაოდენობა (ქულებს შორის სხვაობა განპირობებულია კონკრეტული მასალის სირთულით)
B-1	ტექსტის გააზრება	12 – 14 (24–დან)
	წერა	12 – 14 (24–დან)
	ზეპირი	12 – 14 (24–დან)
A-2	ტექსტის გააზრება	8 – 10 (24– დან)
	წერა	8 – 10 (24– დან)
	ზეპირი	8 – 10 (24– დან)

გ) გერმანული ენის სადიპლომო ჯგუფების V კლასის მოსწავლეებისათვის დონეების დასადგენი ტესტირება (ატარებს გერმანიის მხარე);

დ) გერმანული ენის სადიპლომო ჯგუფების VI, VII კლასის მოსწავლეებისათვის ტესტირება დონეებზე ხელახალი გადანაწილებისთვის (ატარებს გერმანიის მხარე) .

დონის დასადგენი ტესტი შედეგების მიხედვით ხდება მოსწავლეთა განაწილება ჯგუფებში:

დონე ჯგუფი	შესამოწმებელი უნარები	სწორი პასუხების პროცენტული რაოდენობა
A	ტექსტის გააზრება	75%
	წერა	
	ზეპირი	
B	ტექსტის გააზრება	50%
	წერა	
	ზეპირი	
C	ტექსტის გააზრება	50% - ზე ნაკლები
	წერა	
	ზეპირი	

DSD - ჯგუფების გამოცდებისა და ტესტირებების ჩატარების განრიგი:

DSD - ჯგუფები	კლასი/კლასები	თარიღი
დონის დასადგენი ტესტი	V	2019 წ. 3 მაისი
დონის დასადგენი ტესტი დონეებზე ხელახალი გადანაწილებისთვის	VI, VII,	2019 წ. 6–10 მაისი
საგამოცდო სიის დასადგენად	VIII	2019 წლის 3 ივნისი
გამოცდა B-1 საფეხურის დამადასტურებელი დიპლომისათვის.	IX, X, XI,	2019 წ. 14 მარტი (წერა) 2019წ. 18– 22 მარტი (ზეპირი)
გამოცდა C-1 საფეხურის დამადასტურებელი დიპლომისათვის.	XII	2018წ. 28 ნოემბერი (წერა) 2018წ. 3–7 დეკემბერი (ზეპირი)

7. TOEFL-ის (Test of English as a Foreign Language) სასერტიფიკატო პროგრამის ფარგლებში:

ა). შუალედური ტესტირება დეკემბერში - განმავითარებელი შეფასებით.

ბ). საგამოცდო ტესტირება სასწავლო წლის ბოლოს, ივნისში.

შეფასება კომენტარებით, პროგრესისა და რეგრესის ჩვენებით. მოსწავლეებს გადაეცემათ დონის შესაბამისი სერტიფიკატი. ტესტების შედეგაზე, ტესტირების ჩატარებასა და ტესტის შემოწმებაზე მუშაობს ETS Global (Educational Testing Service).

ტესტირების შედეგი გავლენას არ ახდენს მოსწავლის სემესტრულ და წლიურ შეფასებაზე. შედეგების მიხედვით მოსწავლეები განთავსდებიან სათანადო დონეზე.

TOEFL –ის სასერტიფიკატო პროგრამა მოიცავს სამ ეტაპს და დაყოფილია საფეხურებად: TOEFL Primary (8+); TOEFL Junior (11+); TOEFL ITP(16+);

	C 2				
	C1			TOEFL ITP	TOEFL iBT
	B2		TOEFL Junior		
	B1	TOEFL Primary			
	A2		8+ years	11+ years	16+years
	A1				

ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტები

ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ტიპები და მათი გაცემის წესი განისაზღვრება კანონმდებლობით.

მოსწავლის აკადემიური მიღწევების აღიარება

1. შეფასების მაღალი დონე (ქულები 9-დან 10-ის ჩათვლით) გულისხმობს სასწავლო წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას;

2. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულაა 10 დამრგვალების გარეშე და მიიღებს დადებით შეფასებას სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე, იღებს ოქროს მედალსა და შესაბამის სერტიფიკატს.

3. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი და მიიღებს დადებით შეფასებას სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე, იღებს ვერცხლის მედალსა და შესაბამის სერტიფიკატს.

4. პირზე, რომელმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კლასის/კლასების, ან საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის /საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები წარჩინებით დაძლია ექსტერნატის ფორმით, ოქროსა და ვერცხლის მედალი და შესაბამისი სერტიფიკატები არ გაიცემა.

ეს წესი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის #98/ნ ბრძანების საფუძველზე, უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების შემდეგ, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები, რომლებთან შესაბამისობაც არ იქნა დადგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაძლიეს ექსტერნატის ფორმით.

წლიური და საშემოდგომო გამოცდების შედეგების გასაჩივრების წესი:

წლიური და საშემოდგომო გამოცდების შედეგების გამოცხადების შემდეგ, თუ მოსწავლე/შშობელი თვლის, რომ უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის, მას შეუძლია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლისათვის განმეორებითი გამოცდის დანიშვნის შესახებ. უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.

განმეორებითი გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით იქმნება საგამოცდო კომისია საგნის მასწავლებლის, შესაბამისი საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელისა და დირექციის წარმომადგენლის შემადგენლობით.

განმეორებით გამოცდაზე გასული მოსწავლისათვის საგნის საგამოცდო ქულას განმეორებით გამოცდაზე მიღებული ქულა წარმოადგენს.

განმეორებითი გამოცდა ინიშნება ძირითადი გამოცდის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.

დანართი 1. შეფასების სქემებისა და რუბრიკების ზოგიერთი ნიმუში:

(სრულ ვერსიაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კათედრებსა და თითოეულ მასწავლებელს)

ჰუმანიტარული საგნების კათედრა:

1 ქულა	მოსწავლე ესწრება გაკვეთილებს, მაგრამ არასდროს მონაწილეობს გაკვეთილის მსვლელობაში. არ ასრულებს საშინაო დავალებებს, მეტყველებს გაუგებრად, უშვებს ენობრივ შეცდომებს.
2 ქულა	მოსწავლე იშვიათად მონაწილეობს გაკვეთილის მსვლელობაში, დავალებებს ასრულებს უყურადღებოდ, უჭირს საკუთარი აზრის ჩამოყალიბება, ლექსიკა არაადეკვატურია. უჭირს გამართულად წერა.
3 ქულა	მოსწავლე ჩართულია გაკვეთილის მსვლელობაში, მაგრამ არ შეუძლია დამოუკიდებლად მსჯელობა, დავალებებს ასრულებს ნაწილობრივ, მეტყველებს მწირი ლექსიკით. ნაწერი არ არის ორგანიზებული და არ შეესაბამება თემას.
4 ქულა	მოსწავლე ცდილობს იყოს აქტიური, თუმცა მსჯელობა არ არის თანამიმდევრული და გამყარებული ტექსტით. წერითი დავალება არ ესადაგება მასწავლებლის მიერ მოცემულ ინსტრუქციას.
5 ქულა	მოსწავლე ჩართულია გაკვეთილის მსვლელობაში, მაგრამ უჭირს დისკუსიებში მონაწილეობა, არგუმენტები არაადამაჯერებელია. შეცდომით ასრულებს წერით დავალებებს.
6 ქულა	მოსწავლე დამოუკიდებლად ერთვება საგაკვეთილო პროცესში, მონაწილეობს დისკუსიებში, მეტყველებს სწორად, თუმცა ღარიბია ლექსიკა. წერით დავალებებს ასრულებს მცირეოდენი შეცდომებით (4-5 შეცდომა)
7 ქულა	გაკვეთილის მსვლელობაში მონაწილეობს აქტიურად, ამჟღავნებს წინასწარ მომზადებულობას. მოსაზრებები და არგუმენტები ძირითადად შეესაბამება საკითხს, მაგრამ უჭირს დასკვნების გაკეთება. შეცდომები აქვს ლექსიკასა და წერით დავალებაში.
8 ქულა	დამოუკიდებლად ერთვება ჯგუფურ მუშაობებსა და დისკუსიებში. შესრულებული დავალებები ესადაგება მასწავლებლის მოთხოვნებს. მეტყველებს გამართულად, მსჯელობს ლოგიკურად, თუმცა ზოგჯერ არგუმენტი და დასკვა არაადამაჯერებელია. წერით დავალებებში უშვებს 1 -2 შეცდომას.
9 ქულა	მუდმივად მზადაა გაკვეთილისათვის, დავალებებს ყოველთვის ხარისხიანად ასრულებს. საუბრობს და მსჯელობს ენის ნორმების დაცვით. აქვს მდიდარი ლექსიკა, ნაწერი კარგად არის ორგანიზებული.
10 ქულა	მუდმივად ჩართულია საგაკვეთილო პროცესში. დავალებებს ასრულებს მონდომებით და უშეცდომოდ. მსჯელობს არგუმენტირებულად, აკეთებს ლოგიკურ დასკვნებს, ლექსიკა მდიდარი და დახვეწილია, ნაწერი შესრულებულია უშეცდომოდ. აქტიურად მონაწილეობს სასკოლო ღონისძიებებში, კონფერენციებსა და ოლიმპიადებში. კარგად აქვს გაცნობიერებული საკუთარი მიზანი.

ჩართულობა					
შედეგები	1-2	3-4	5-6	7-8	9-10
აქტიური მონაწილეობა	არ არის ჩართული	გაკვეთილის ანმავლობაში მინიმალურად ერთვება საკლასო აქტივობებში	პერიოდულად ერთვება, მაგრამ არანაყოფიერად	ძირითადად აქტიურია, თუმცა არ არის თანმიმდევრული	აქტიურია, გაკვეთილის გააზრებაში შეეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი
აზრის დამოუკიდებლად გამოთქმა და შეკითხვის დასმა	ვერგამოთქვამს საკუთარ აზრს. უჭირს შეკითხვის დასმა	არ ავლენს ინიციატივას აზრის ჩამოყალიბებაში, შეკითხვა არაარსებითია	მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში გამოთქვამს საკუთარ აზრს უჭირს შეკითხვის გააზრება და ჩამოყალიბება	გამოთქვამს საკუთარ აზრს, მაგრამ აკლია არგუმენტირება. შეკითხვები ხშირად ზედაპირულია და აკლია გააზრება.	აყალიბებს საკუთარ აზრს, მსჯელობს არგუმენტირებულად. საჭიროების შემთხვევაში სვამს ჩამოყალიბებულ და გააზრებულ შეკითხვას.
კონცენტრირება სამუშაოზე	ვერ ახერხებს კონცენტრირებას, არ იცავს ინსტრუქციას.	ცდილობს კონცენტრირებას, მაგრამ ხშირად ეფერება გონებას. უჭირს ინსტრუქციის დაცვა	პერიოდულად ახერხებს კონცენტრირებას, მაგრამ ვერ მიდის დავალების ლოგიკურ შედეგამდე	ძირითადად კონცენტრირებულ იქნება სამუშაოზე. იცავს ინსტრუქციას, თუმცა დავალება ბოლომდე არ არის გააზრებული	მთელი გაკვეთილის განმავლობაში კონცენტრირებულია სამუშაოზე. ზუსტად იცავს ინსტრუქციას. დავალება შესაბამისადაა გააზრებული
სხვისი აზრის მოსმენა და ურთიერთპატივისცემა	არ აინტერესებს და უსმენს სხვებს ისაზრს	უსმენს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში, შეუძლია შეაწყვეტინოს აზრი	ყოველთვის არ უსმენს სხვებს ან უსმენს, თუმცა უჭირს მიიღოს და პატივი სცეს	უსმენს სხვების აზრს, ძირითადად კორექტულია	ყურადღებით ისმენს სხვების აზრს, აანალიზებს, პატივს სცემს განსხვავებულ მოსაზრებებს

ზეპირი და წერითი საშინაო დავალება				
შედეგები	1–4	5–6	7–8	9–10
ზეპირიპასუხი	მიზანიარააქვესგააზრებული, მასალაარააქვესმომზადებული, ადეკვატურადვერპასუხობსკითხვებზე	მიზანიარასრულფასოვნადაქვესგაცნობიერებული, მომზადებულიმასალამწირია, ადეკვატურადვერპასუხობსკითხვებზე, უჭირსაუდიტორიასთანკავშირისდამყარება.	მიზანიაქვესგაცნობიერებული, მასალაძირითადადკარგადაქვესმომზადებული, კითხვებზე პასუხისგაცემისას აკლია დამაჯერებლობა, ზოგჯერ კარგავსაუდიტორიასთანკავშირს.	მიზანისრულყოფილადაქვესგაცნობიერებული, მასალაგამდიდრებულიდამრავალფეროვანიადამაჯერებლადდარგუმენტირებულადპასუხობსკითხვებზე, კარგადამყარებსაუდიტორიასთანკავშირს.
წერითი დავალება	დავალებას არ ასრულებს, შესრულების შემთხვევაში დაგვიანებით, არასრულყოფილად და შეცდომებით. წერის კულტურა დაბალია	დავალება ნაწილობრივაა შესრულებული. კითხვებზე პასუხი არასრულყოფილია. წერის კულტურის დონე არადამაკმაყოფილებელია	ზოგ კითხვაზე პასუხი არასრულყოფილია, უჭირს შესაბამისი მაგალითის მოყვანა. ძირითადად იცავს წერის კულტურას	დავალება სრულყოფილია. კითხვებზე პასუხი მართებული და არგუმენტირებულია. წერის კულტურა მაღალია

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა	
წარადგენს პრეზენტაციის თემას, აკეთებს შესავალს	1
განხილვისას თანმიმდევრულად განიხილავს მთავარ საკითხებს	2
ხსნის მოვლენებს, მოჰყავს ფაქტები და არგუმენტები	2
აკეთებს მართებულ დასკვნებს, პასუხობს დაინტერესებულთა შეკითხვებს	2
საუბრობს მკაფიოდ, იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას, ფლობს აუდიტორიას (იყენებს მიმიკას, ჟესტიკულაციას, ინტონაციას), იყენებს თვალსაჩინოებას	2
იცავს მოცემულ დროის ლიმიტს	1

დისკუსიის შეფასების რუბრიკა	
მონაწილის მიერ გამოთქმული აზრი მკაფიო და გასაგებია	2
წარმოდგენილი აზრი გამყარებულია დამაჯერებელი არგუმენტით	2
შეუძლია კონტრარგუმენტის მოშველი ბა	2
ისმენს განსხვავებულ აზრს და პასუხობს კონსტრუქციულად	2
იცავს დროის ლიმიტს და დისკუსიის დადგენილ წესებს	2

ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა	
ჯგუფის ყველა წევრი ჩართულია, დავალებები გადანაწილებულია	2
ჯგუფის წევრები უსმენენ ერთმანეთს და სხვა ჯგუფის წევრს, იცავენ დისციპლინას	2
ჯგუფის წევრები სრულად და მართებულად წამოადგენენ პრეზენტაციას	2
ჯგუფი პასუხობს შეკითხვებს, ავლენს პრობლემის გადაჭრის გზას	2
ჯგუფი იცავს დროის ლიმიტს	2

კითხვა-პასუხის შეფასების რუბრიკა

დასმულ კითხვებზე შესაბამისი პასუხების გაცემა	2
საკითხის მკაფიოდ და გასაგებად წარმოდგენა	2
პასუხის დასაბუთება, მაგალითის მოყვანა	2
შედარება სხვა ნაწილთან, მოვლენასთან, ფაქტთან	2
კავშირის დამყარება ყოველდღიურ რეალობასთან/შეფასება	2

შეფასების კრიტერიუმები (ტექსტის გაგება, გააზრება, შეფასება)

ტექსტის შინაარსის გაგება და გადმოცემა	ტექსტის შინაარსი გაიგო, მაგრამ ვერ გადმოსცემს	შინაარსი გაიგო, გადმოსცემს ენობრივი ნორმების დარღვევით, კითხვების დახმარებით	გადმოსცემს მოკლედ, ზოგჯერ არაადეკვატური ლექსიკით	გადმოსცემს კარგად, მეტყველებს გამართულად, იცავს ენობრივ ნორმებს.
ტექსტის ადეკვატურად გააზრება, შეფასება	უჭირს გააზრება, პერსონაჟების თვისებებისა და ქცევის მოტივაციის აღქმა	ტექსტს იაზრებს ნაწილობრივ, პერსონაჟების თვისებებსა და ქცევის მოტივაციას აღიქვამს ზედაპირულად	ტექსტს მთლიანობაში იაზრებს, აღიქვამს პერსონაჟის თვისებებსა და ქცევის მოტივაციას არასიღრმისეულად.	იაზრებს სიღრმისეულად, პერსონაჟების თვისებებსა და მათი ქცევის მოტივაციას აღიქვამს ადეკვატურად, გააზრებულიად
დავალებების შესრულების სიხშირე	არასდროს, იშვიათად	ზოგჯერ	უმეტესწილად	ყოველთვის
ქულები	1-4	5-6	7-8	9-10

დანართი 2. 2018-2019 სასწავლო წელი - შემაჯამებელი დავალებების ჩატარების განრიგი. I სემესტრი

VI კლასი

შაბათის შემაჯამებელი დავალებების ჩატარების თარიღები:

N	თარიღი	საგნების დასახელება		
1	06.10	მათემატიკა	I უცხოური ენა	ბუნებისმეტყველება
2	03.11	ქართული ენა	გერმანული ენა	ჩვენი საქართველო
3	01.12	მათემატიკა	I უცხოური ენა	ბუნებისმეტყველება
4	22.12	ქართული ენა	გერმანული ენა	ჩვენი საქართველო

გაკვეთილებზე შემაჯამებელი დავალებების ჩატარების თარიღები:

საგნები	I	II
ქართული ენა 1	21.XI	
მათემატიკა 2	25.X	13.XII
I უცხოური ენა 2	6.XI	11.XII
გერმანული ენა (DSD) 2	12.X	19.XI
ჩვენი საქართველო		
ბუნებისმეტყველება 1	8.XI	
სახ. და გამ. ხელოვნება 2	19.X	16.XI
მუსიკა 2	10.X	28.XI
ისტ. 2	6.XI	6.XII

VII კლასი

შაბათის შემაჯამებელი დავალებების ჩატარების თარიღები:

N	თარიღი	საგნების დასახელება	
1	06.10	ქართული ენა	საბუნ. მეცნ. საფუძვლები
2	03.11	მათემატიკა	გერმანული ენა
3	01.12	ქართული ენა	I უცხოური ენა
4	22.12	მათემატიკა	გერმანული ენა

გაკვეთილებზე შემაჯამებელი დავალებების ჩატარების თარიღები:

საგნები	I	II
ქართული ენა 2	14.XI	14.XII
მათემატიკა 2	19.X	22.XI
I უცხოური ენა 2	9.X	6.XI
გერმანული ენა (DSD) 2	10.X	21.XI
რუსული ენა 2	25.X	6.XII
ისტორია 2	18.X	6.XII
გეოგრაფია 2	16.X	13.XII
საბუნ. მეცნ. საფუძვლები 1	7.XII	
სახ. და გამ. ხელოვნება 2	26.X	16.XI
მუსიკა 2	16.X	27.XI

VIII კლასი

შაბათის შემაჯამებელი დავალებების ჩატარების თარიღები:

N	თარიღი	საგნების დასახელება	
1	06.10	ქართული ენა	ბიოლოგია
2	27.10	მათემატიკა	გერმანული ენა
3	17.11	ფიზიკა	I უცხოური ენა
4	01.12	ქართული ენა	ქიმია
5	22.12	მათემატიკა	გერმანული ენა

გაკვეთილებზე შემაჯამებელი დავალებების ჩატარების თარიღები:

საგნები	I	II
ქართული ენა 2	6.XI	12.XII
მათემატიკა 2	10.X	22.XI
I უცხოური ენა 2	9.X	5.XII
გერმანული ენა (DSD) 2	20.XI	4.XII
რუსული ენა 2	30/31.X	11/13.XII
ისტორია 2	6/9.XI	10/11.XII
გეოგრაფია 2	15.X	21.XI
სამოქ. თავდ. და უსაფრ. 2	17/18.X	6/7.XI
ბიოლოგია 1	3.XII	
ფიზიკა 1	14.XII	
ქიმია 1	8.XI	
სახ. და გამ. ხელოვნება 2	19.X	14.XII
მუსიკა 2	19.X/15.X	7.XII/3.XII

IX კლასი

შაბათის შემაჯამებელი დავალებების ჩატარების თარიღები:

N	თარიღი	საგნების დასახელება	
1	06.10	ქართული ენა	ბიოლოგია
2	27.10	მათემატიკა	გერმანული ენა
3	17.11	ფიზიკა	I უცხოური ენა
4	01.12	ქართული ენა	ქიმია
5	22.12	მათემატიკა	გერმანული ენა

გაკვეთილებზე შემაჯამებელი დავალებების ჩატარების თარიღები:

საგნები	I	II	III
ქართული ენა 2	7.XI	13.XII	
მათემატიკა 2	9.X	22.XI	
I უცხოური ენა 2	10.X	4.XII	
გერმანული ენა (DSD) 2	19.XI	5.XII	
რუსული ენა 2	30.X	11.XII	
ისტორია 3	17.X	9.XI	12.XII
სამოქალაქო განათლება 2	18.X	15.XI	
გეოგრაფია 2	19.X	21.XI	
ბიოლოგია 1	3.XII		
ფიზიკა 1	14.XII		
ქიმია 1	8.XI		
სახ. და გამ. ხელოვნება 2	19.X	14.XII	
მუსიკა 2	16.X	4.XII	

X კლასი

შაბათის შემაჯამებელი დავალებების ჩატარების თარიღები:

N	თარიღი	საგნების დასახელება	
1	06.10	ქართული ენა	ბიოლოგია
2	27.10	მათემატიკა	ისტორია
3	17.11	ფიზიკა	I უცხოური ენა
4	01.12	ქართული ენა	ქიმია
5	22.12	მათემატიკა	გერმანული ენა

გაკვეთილებზე შემაჯამებელი დავალებების ჩატარების თარიღები:

საგნები	I	II	III
ქართული ენა 2	6.XI	11.XII	
მათემატიკა 2	9.X	5.XII	
I უცხოური ენა 2	16.X	3.XII	
გერმანული ენა (DSD) 3	31.X	21.XI	5.XII
გერმანული ენა 2	7.XI	5.XII	
რუსული ენა 1	14.XII		
ისტორია 1	13.XI		
სამოქალაქო განათლება 2	2.XI	4.XII	
გეოგრაფია 2	26.X	7.XII	
ბიოლოგია 1	13.XII		
ფიზიკა 1	6.XII		
ქიმია 1	1.XI		

XI კლასი

შაბათის შემაჯამებელი დავალებების ჩატარების თარიღები:

1	06.10	ქართული ენა	ბიოლოგია	
2	27.10	მათემატიკა	გეოგრაფია	
3	17.11	ფიზიკა	I უცხოური ენა	
4	01.12	ქართული ენა	ქიმია	
5	22.12	მათემატიკა	გეოგრაფია	გერმანული ენა

გაკვეთილებზე შემაჯამებელი დავალებების ჩატარების თარიღები:

საგნები	I	II	III
ქართული ენა 2	6.XI	11.XII	
მათემატიკა 2	12.X	22.XI	
I უცხოური ენა 2	16.X	4.XII	
გერმანული ენა (II ენა) 2	29.X	3.XII	
ისტორია 2	9.XI	7.XII	
გეოგრაფია 1	21.XI		
ბიოლოგია 2	7.XI	14.XII	
ფიზიკა 2	19.X	4.XII	
ქიმია 2	18.X	8.XI	
რუსული ენა 1	7.XII		

XII კლასი

გამოცდების იმიტაციების ჩატარების თარიღები:

N	თარიღი	საგნების დასახელება
1	06.X	ქართული ენა
2	27.X	მათემატიკა
3	17.XI	I უცხოური ენა
4	01.XII	ქართული ენა
5	22.XII	მათემატიკა

გაკვეთილებზე შემაჯამებელი დავალებების ჩატარების თარიღები:

საგნები	I		II	
ქართული ენა 2	7.XI		12.XII	
მათემატიკა 2	8.X		19.XI	
I უცხოური ენა 2	16.X		4.XII	
გერმანული ენა 4	09.X	2.XI	20.XI	11.XII
ფრანგული ენა 2	7.XI		19.XII	
ისტორია 1	14.XII			
სამოქ. თავდ. და უსაფრ. 1	21.XI			
რუსული ენა 1	3.XII			